საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსაძე ანზორ გრიგოლის (გიგუშას) ძე

კავსაძე ანზორ გრიგოლის (გიგუშას) ძე (7. VIII. 1930, ჭიათურა, – 17. XII. 2007, თბილისი), საგუნდო დირიჟორი, მომღერალი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1970). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია საგუნდოსადირიჟორო განხრით (- ხელმძღვ. გ. ხახანაშვილი). ასპირანტურაში (საოპერო-სიმფ. დირიჟორობა, ხელმძღვ. ო. დიმიტრიადი) სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951–54 იყო საქართვ. რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალი, 1954–58 – თბილ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის დირიჟორი, 1955–2007 – იქვე საგუნდოსადირიჟორო კათედრის პედაგოგი, 1957–66 - საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის მთ. დირიჟორი, 1968–75 – ამავე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. ამ პერიოდში ანსამბლმა განსაკუთრებულ მაღალ-მხატვრულ საშემსრულებლო დონეს მიაღწია, წარმატებით გამართა გასტროლები საზღვარგარეთ (მ. შ. აშშ-სა და კანადაში). კ-ის მოღვაწეობის დროს ამ ანსამბლში მღეროდნენ ხალხ. სიმღერის დიდოსტატები: ი. მჭედლიშვილი, ჰ. გონაშვილი, ჯ. ხვადაგიანი, ი. ზაქაიძე, რ. საგინაშვილი და სხვ. სწორედ ი. ზაქაიძისა და რ. საგინაშვილის ნამღერი „ჩაკრულოს" კავსაძისეული ვარიანტი გაუშვეს კოსმოსში 1977.

გ. ტორაძე